სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

29 / აგვისტო / 2024 წ.

KA021771344584024

№ **1/1-4888**

ბრძანება

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 738.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გაცემის შესახებ

”სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/ სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, ”სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, ”საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, ”სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის” უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 აგვისტოს N1197 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N4-ის მიმდებარედ არსებული 738.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №03.05.26.188) იჯარის უფლებით გაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 წლის ვადით.

2.სარგებლობის მესამე წლიდან გადასახდელ საწყის ყოველწლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 21 255 ლარი.

3.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა დადგინდეს 12 570 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს 300 ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით.

4.ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდა შემდეგი სახით:

ა.ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში - ყოველწლიურად 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, იჯარის უფლების მოქმედების პერიოდში – ყოველწლიურად აუქციონზე განხორციელებული ვაჭრობის (საწყისი საიჯარო ქირა 21 255 (ოცდაერთი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი) ლარი) შედეგად განსაზღვრული ოდენობით;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (მათ შორის, ცერებრალური დამბლისა და აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების) მომსახურებისათვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ამავე უძრავ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ან/და მისი ნაწილის რემონტს და სარეაბილიტაციო ცენტრის აღჭურვას) და ამავე სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის დანახარჯის/ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ცენტრის პროფილის შენარჩუნება შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

5.მოსარგებლე ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს ამ ბრძანების მე-4 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას და რომელიც მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს ამავე პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სარგებლობის პირობების შესრულებას (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

6.საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღების მიერ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, ხოლო მოიჯარის მიერ უძრავ ქონებაზე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

7.დამტკიცდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

9.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია